

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებზე მსმენელის შერჩევის,
ჩარიცხვისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი**

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1. წინამდებარე მარეგულირებელი წესის (შემდგომში-წესი) მიზანია განსაზღვროს სსიპ - კოლეჯ „თეთნულდი“ (შემდგომში -კოლეჯი) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელის სტატუსის მოპოვებისა და შეწყვეტის საკითხები, მსმენელის მიღწევების შეფასების ერთიანი პროცედურა, მსმენელის უფლება-მოვალეობები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

2. წესის მოქმედება ვრცელდება კოლეჯის თანამშრომლებზე, რომლებიც ახორციელებენ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებს (შემდგომში - პროგრამებს) და ყველა აპლიკანტზე, რომლებსაც მიენიჭათ მსმენელის სტატუსი.

**მუხლი 2. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციის
გამოცხადება**

1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაცია ცხადდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით და მონაცემები შეიტანება ელექტრონულ სისტემაში, რომლის ადმინისტრირებასაც ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (შემდგომში - მართვის სისტემა).

2. კოლეჯი, კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების

პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შემდეგ პროგრამაზე რეგისტრაციას აცხადებს ღია ან დახურული წესით.

3. ღია წესით რეგისტრაციის გამოცხადების შემთხვევაში ელექტრონულ სისტემაში განთავსებული ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

4. დახურული წესით რეგისტრაცია ცხადდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კოლეჯს აქვს ხელშეკრულება სხვა იურიდიულ პირთან ან ადმინისტრაციულ ორგანოსთან, რომლის ფარგლებშიც უნდა უზრუნველყოს პირთა გარკვეული წრის პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადება. დახურული რეგისტრაციის წესით აპლიკანტთა შერჩევის დროს კოლეჯი ვალდებულია ელექტრონულ სისტემაში ატვირთოს ამ პუნქტით

განსაზღვრული დოკუმენტი.

5. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაციის გამოცხადების მიზნით ელექტრონულ სისტემაში მითითებული უნდა იყოს:

ა) კოლეჯის სახელწოდება/სამართლებრივი ფორმა /საიდენტიფიკაციო კოდი; ბ) კოლეჯის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი;

გ) კოლეჯის საკონტაქტო ინფორმაცია (ელ-ფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი); დ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სახელწოდება;

ე) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სახე (მომზადება/გადამზადება); ვ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ხანგრძლივობა;

- ზ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობა (ასაკი, განათლება და სხვა.);
- თ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის მოკლე აღწერა;
- ი) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების ადგილი;
- კ) ადგილების ზღვრული რაოდენობა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე; ლ) ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე (მე-2/მე-3 / მე-4 / მე-5);
- მ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევის ფორმა;
- ნ) აპლიკანტთა რეგისტრაციის დაწყებისა და დასრულების თარიღები (რეგისტრაციის დაწყების/დასრულების თარიღი წინ უნდა უსწრებდეს სწავლის დაწყების თარიღს);
- ო) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე სწავლის დაწყებისა და დასრულების თარიღები;
- პ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობა;
- ჟ) პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის სწავლის საფასური;
- რ) ინფორმაცია პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის დაფინანსების შესახებ;
- ს) საინფორმაციო მართვის სისტემის მიერ განსაზღვრული სხვა ინფორმაცია.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ა“-„მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია ავტომატურად გენერირდება ელექტრონულ სისტემაში კოლეჯის მიერ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციის გამოცხადებისას. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ნ“-„ს“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის ელექტრონულ სისტემაში შეყვანას უზრუნველყოფს კოლეჯი.

8. კოლეჯი უფლებამოსილია, ელექტრონულ სისტემაში მის მიერ ასახული ინფორმაცია, შეცვალოს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციის ვადის დასრულებამდე არაუგვიანეს 3 სამუშაო დღით ადრე. ცვლილების შესახებ აპლიკანტს ეცნობება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

მუხლი 3. აპლიკანტთა რეგისტრაცია

1. კოლეჯის მიერ, რეგისტრაციის ღია წესით გამოცხადების შემთხვევაში, ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს ამ წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის, ხოლო დახურული წესით რეგისტრაციის გამოცხადების შემთხვევაში ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს ამ წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ამ წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ პირთათვის.

2. აპლიკანტი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციისათვის გადის ავტორიზაციას სპეციალურ ვებგვერდზე და რეგისტრირდება ელექტრონული განაცხადის მეშვეობით ან მიმართავს კოლეჯს, რომელიც რეგისტრაციას ახორციელებს ელექტრონული სისტემის გამოყენებით. რეგისტრაციის დახურული წესით გამოცხადების შემთხვევაში, აპლიკანტთა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციას ახორციელებს კოლეჯი ელექტრონული სისტემის გამოყენებით.

3. აპლიკანტს ან კოლეჯს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრაციის დროს ელექტრონულ სისტემაში შეაქვს შემდეგი მონაცემები:

- ა) აპლიკანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი და დაბადების თარიღი;

- ბ) აპლიკანტის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტის მისამართი;
 - გ) ფაქტობრივი მისამართი/რეგისტრაციის მისამართი;
 - დ) ინფორმაცია აპლიკანტის განათლების შესახებ;
 - ე) მონაცემები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების, დევნილის ან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრის თაობაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში;
 - ვ) ინფორმაცია ამჟამინდელი საქმიანობის შესახებ.
4. აპლიკანტის მიერ განხორციელებული რეგისტრაცია დასტურდება მის ელექტრონულ ფოსტაზე ერთჯერადი კოდის გაგზავნით.
5. ელექტრონულ სისტემაში ავტორიზაციის გავლის შემდეგ აპლიკანტი ირჩევს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამას/პროგრამებს.
6. აპლიკანტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გააუქმოს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაცია.

მუხლი 4. აპლიკანტთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აპლიკანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტებია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) აპლიკანტის პირადობის მოწმობის ასლი;
- გ) დაწესებულება უფლებამოსილია აპლიკანტს არ მოსთხოვოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ აღნიშნული განათლების შესაბამისი საფეხურის დამლევა, აპლიკანტის რეგისტრაციის მომენტში დადასტურებულია მართვის სისტემის მიერ.
- დ) პირმა, რომელმაც განათლება მიიღო უცხოეთში, აქვს უნდა წარმოადგინოს განათლების აღიარების დოკუმენტი;
- ე) პირმა, რომელმაც განათლება მიიღო ოკუპირებულ ტერიტორიაზე, აქვს უნდა წარმოადგინოს განათლების აღიარების დოკუმენტი;

მუხლი 5. აპლიკანტთა შერჩევა

1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება კოლეჯის მიერ ამ მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად. კოლეჯი ვალდებულია, შერჩევის

პროცედურის დაწყებამდე არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე, აპლიკანტს მიაწოდოს ინფორმაცია შერჩევის პროცედურის შესახებ.

2. კოლეჯი და საწარმოები აპლიკანტების შერჩევის მიზნით ერთობლივად ატარებენ კონკურს/გასაუბრებას. გასაუბრების დროს: პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების პროგრამებზე აპლიკანტთა შეფასება ხორციელდება შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, (დანართის №) შესაბამისად;

- მაქსიმალური საკონკურსო ქულა -15; მინიმალური კომპეტენციის ზღვარი -5 ქულა;
- საკონკურსო კომისია და კონკურსის ჩატარების თარიღი განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ- სამართლებრივი აქტით;

- საკონკურსო კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისაგან, რომლის შემადგენლობაში შედიან: კომისიის თავმჯდომარე, წევრ(ებ)ი, ასევე პარტნიორი კომპანიის/კომპანიების მინიმუმ ერთი

წარმომადგენელი;

- გასაუბრება ტარდება კოლეჯში, საამისოდ გამოყოფილ გარემოში ან სხვა ალტერნატიულ ფართში, პარტნიორებთან შეთანხმებით;
- გასაუბრების შედეგები აისახება აპლიკანტთა შეფასების ფორმასა (დანართი №) და შესაბამის სხდომის ოქმში;

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პროცედურის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, კოლეჯი, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, უზრუნველყოფს აპლიკანტისთვის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირის სტატუსის მინიჭებას.

მუხლი 6. მსმენელის სტატუსის მოპოვება/შეწყვეტა

1. ჩარიცხვის უფლების მქონე პირი ვალდებულია კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით მიერ განსაზღვრულ ვადაში წარადგინოს მსმენელის სტატუსის მოპოვების მიზნით მოთხოვნილი დოკუმენტაცია .

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს ჩარიცხვის უფლების მქონე პირისთვის მსმენელის სტატუსის მინიჭებას, რაც დასტურდება მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით. ინფორმაცია მსმენელის სტატუსის მინიჭების შესახებ ელექტრონულ სისტემაში აისახება შესაბამის პროფესიულ მომზადების/პროფესიულ გადამზადების პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე.

3. ჩარიცხვის პროცესის დასრულების შემდეგ თავისუფალი ადგილების არსებობის შემთხვევაში, კოლეჯი უფლებამოსილია დაუკავშირდეს იმ აპლიკანტებს, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე, მაგრამ კონკურსის გამო ვერ მოხვდნენ ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა სიაში. კოლეჯი ვალდებულია ამ კატეგორიის პირთათვის მსმენელის სტატუსის მინიჭება, ხელშეკრულების გაფორმება და ელექტრონულ სისტემაში ასახვა უზრუნველყოს შესაბამის პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.

4. მსმენელთან გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მას უწყდება მსმენელის სტატუსი, რაც კოლეჯის მიერ აისახება ელექტრონულ სისტემაში 3 სამუშაო დღის ვადაში.

5. მსმენელის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) მსმენელის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

ბ) ისეთი ყალბი დოკუმენტის ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა ან ისეთი ინფორმაციის წარუდგენლობა, რაც გავლენას იქონიებდა მსმენელის ჩარიცხვის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებაზე;

გ) პროგრამის დასრულება;

დ) პირადი განცხადება

ე) სასწავლო პროცესის დაწყებიდან 2 კვირის განმავლობაში გამოუცხადებლობა;

ვ) მსმენელის მიერ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის აუთვისებლობა. განმსაზღვრელი შეფასებებზე გამოუცხადებლობა ან/და პროგრამის განხორციელების ძირითად ვადებში ან სწავლის შედეგის არდადასტურება განმეორებითი შეფასებისას;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით და კოლეჯის მარეგულირებელი აქტებით განსაზღვრული სხვა შემთხვევები;

6. სტატუს შეწყვეტილმა პირმა, სურვილის შემთხვევაში პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა უნდა გაიაროს თავიდან;

7. მსმენელის სტატუსის შეწყვეტის შესახებ, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის გ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, გამოიცემა კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი და მონაცემები აისახება მართვის საინფორმაციო სისტემაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 7. მეცადინეობის განრიგი, მსმენელთა დასწრების აღრიცხვა

1. მეცადინეობის განრიგი თითოეული ჯგუფისთვის მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: კალენდარულ დღეებს, მეცადინეობის ხანგრძლივობას, პროგრამის განმახორციელებელი პირის სახელსა და გვარს, აუდიტორიის ნომერს, გარემოს და სხვ.
2. მეცადინეობის განრიგი განთავსდება თვალსაჩინო ადგილზე, საინფორმაციო დაფაზე.
3. მეცადინეობაზე მსმენელთა დასწრების აღრიცხვას აწარმოებს პროგრამის განმახორციელებელი პირი და ინფორმაცია შეაქვს სპეციალურ ფორმაში;
4. მსმენელთა დასწრების აღრიცხვის ფორმები და შეფასების მტკიცებულებები ინახება სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირთან.

მუხლი 8. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე მსმენელთა შეფასების წესი

1. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე მსმენელის შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
 - სწავლის შედეგი დადასტურდა
 - სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა
2. შეფასებაზე აუარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში მსმენელს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღების დამატებითი შეფასება ერთხელ პროგრამის დასრულებამდე.
3. პროგრამის დასრულებამდე პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორთან შეთანხმებით ნიშნავს გამეორებითი განმსაზღვრელი შეფასების თარიღს. განმეორებით შეფასებაზე მსმენელის არ გამოცხადება ითვლება სწავლის შედეგის ვერ დადასტურებად.
4. სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია როგორც ყოველის სწავლის შედეგის ბოლოს ასევე პროგრამის დასრულებისას.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებში.
6. იმ პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებში, რომლის გათვალისწინებული სწავლის შედეგი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (სასწავლო/საწარმოო კომპანიებში) საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებას ახორციელებს პარტნიორი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი ინსტრუქტორი.

მუხლი 9. პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე მსმენელის უფლება-მოვალეობები

1. მსმენელს უფლება აქვს:
 - ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;
 - ბ) დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის, უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან;
 - გ) გამოთქვას

საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა;

დ) გამოთქვას პროტესტი და წერილობით გაასაჩივროს კოლეჯის დირექტორთან დასაქმებულის ან/და მსმენელის/პროფესიული სტუდენტის არამართლზომიერება;

ე) კოლეჯის არამართლზომიერება გაასაჩივროს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენი წესით;

2. მსმენელი ვალდებულია:

ა) არ დააგვიანოს და არ გააცდინოს სასწავლო პროცესი, ასევე არ დატოვოს აუდიტორია მეცადინეობის მიმდინარეობის დროს;

ბ) დაემორჩილოს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით დადგენილ მოთხოვნებს, კოლეჯის შიდა სხვა მარეგულირებელი წესებს და კოლეჯში დასაქმებული უფლებამოსილი პირის შესაბამის მითითებებს;

გ) გაუფრთხილდეს კოლეჯის ქონებას;

დ) პატივი სცეს მსმენელების/პროფესიული სტუდენტების და კოლეჯის თანაშრომლების ღირსებას, არ დაუშვას მათზე რაიმე ფორმით ზეწოლა ან მათ მიმართ შეურაცხმყოფელი საქციელი;

ე) მსმენელის მიერ კოლეჯისათვის ბრალეული ქმედებით მიყენებული ზიანის გამო, ზიანის ოდენობის შესაბამისი მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება მსმენელს

3. მსმენელს ეკრძალება:

ა) ალკოჰოლური სასმელების, თამბაქოს და საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთების კოლეჯის ტერიტორიაზე შეტანა და გამოყენება;

ბ) ალკოჰოლური ან/და სხვა სახის თრობისას სასწავლებლის ტერიტორიაზე გამოცხადება და გადაადგილება;

გ) კოლეჯის ინფორმაციულ სივრცეში ყველა ტიპის კომპიუტერული თამაშები, არასანქცირებული ჩართვების განხორციელება, კოლეჯის ადმინისტრაციასთან შეთანხმების გარეშე პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, ლექციების მიმდინარეობისას მობილური საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება;

დ) მსმენელის მიერ პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის და კოლეჯის შიდა სხვა მარეგულირებელი აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნათა დარღვევა განიხილება დისციპლინურ გადაცდომად და კოლეჯი უფლებამოსილია მსმენელის მიმართ გამოიყენება დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი შემდეგი ფორმა:

1) გაფრთხილება;

2) შენიშვნა;

3) სტატუსის შეწყვეტა;

მუხლი 10. სერტიფიკატის გაცემა

1. სერტიფიკატის გაცემის საფუძველია მსმენელის მიერ პროგრამაში განსაზღვრული სწავლის შედეგების ათვისება და განმსაზღვრელ შეფასებებში დადებითი შეფასების მიღება;

2. სერტიფიკატის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე. სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირის მიერ კოლეჯის დირექტორს წარედგინება მსმენელთა შეფასების შედეგები;

3. სერტიფიკატთან ერთად გაცემა სერტიფიკატის დანართი, რომლის შევსებას ახორციელებს

სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი.

მუხლი 11. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მსმენელი

1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მსმენელებისათვის ხელმისაწვდომია კოლეჯის მიერ შეთავაზებული ნებისმიერი სახის სერვისი;
2. პროგრამაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მსმენელების ჩარიცხვისას, საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯი ვალდებულია ინკლუზიური განათლების სპეციალისტის ჩართულობით გამართოს კონსულტაციები მსმენელთან, პროგრამის სრულფასოვნად ათვისების შესაძლებლობის არსებობისა და პირობების უზრუნველყოფის მიზნით;
3. პროგრამაზე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან/და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მსმენელების ჩარიცხვისას, კოლეჯის დირექტორის მიერ შექმნილი კომისია შეისწავლის მსმენელის მდგომარეობას და საჭიროების შემთხვევაში, შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება პროგრამას და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მსმენელისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას;
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მსმენელის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მსმენელის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრული მისაღწევი სწავლის შედეგების ფარგლებში, ხოლო განმსაზღვრელი შეფასება - პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის მოთხოვნებთან მიმართებით;
5. სერტიფიკატი გაიცემა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში. ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში, გაიცემა ცნობა გავლილი კომპონენტების შესახებ;
6. ამ მუხლის მე-3 პუნქტის მიზნებისათვის შექმნილ კომისიაში სხვა წევრებთან ერთად, სავალდებულოდ უნდა შედიოდეს პირი, რომელიც ფლობს შესაბამის შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთან ურთიერთობისათვის საჭირო უნარებს. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს ასეთი პირის მოწვევას.

მუხლი 12. სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შენახვა და გამოყენება

1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხული მსმენელების რაოდენობის, პროგრამაში შემავალი კომპონენტების მასალებისა და ნედლეულის ნაწილის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირი კოლეჯის დირექტორს მასალებისა და ნედლეულის მოთხოვნას წარადგენს არაუგვიანეს პროგრამის დაწყებამდე 10 სამუშაო დღისა;
2. მასალებისა და ნედლეულის შეძენას უზრუნველყოფს კოლეჯის დირექტორის ხელმძღვანელობით საამისოდ უფლებამოსილი პირი;
3. სასწავლო მიზნებისათვის მასალებისა და ნედლეულის გადაცემა ხდება სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელი პირთათვის.

მუხლი 13. მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

1. მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- ა) A სასწავლო გარემოში მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- ბ) B სასწავლო გარემოში მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- გ) C სასწავლო გარემოში მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;

2. გადაწყვეტილებას მსმენელთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის შესახებ იღებს კოლეჯი და ასახავს შესაბამის განაცხადში.

მუხლი 14. კონკრეტულ პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

A სასწავლო გარემოში მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; B სასწავლო გარემოში მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობა; C სასწავლო გარემოში მსმენელთა სამუშაო ადგილების რაოდენობა (თუ მსმენელებს აქვთ ინდივიდუალური სამუშაო ადგილები, ან C სასწავლო გარემოს ფართი (თუ მსმენელებს აქვთ ინდივიდუალური სამუშაო გარემო) ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა ან რამდენიმე საწარმოს შემთხვევაში ადგილების ჯამი.

2. კონკრეტულ პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემთხვევა, როდესაც ერთიდაიგივე გარემო რამდენიმე პროგრამისათვის გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში გარემოს დატვირთვის რესურსი უნდა გადანაწილდეს ყველა პროგრამაზე;

3. საწარმოდან გამოყოფილ ერთ ინსტრუქტორზე მსმენელთა რაოდენობა განისაზღვრება პროგრამის თავისებურების გათვალისწინებით;

4. გადაწყვეტილებას პროგრამაზე მსმენელთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის/გაზრდის/შემცირების შესახებ ამ მუხლით დადგენილი მეთოდოლოგიით განსაზღვრული ციფრის ფარგლებში იღებს კოლეჯი და ასახავს შესაბამის განაცხადებაში.

მუხლი 15. გარდამავალი დებულებები

1. წინამდებარე წესში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

აპლიკანტთა შეფასების კრიტერიუმები პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე

აპლიკანტთა შეფასების კრიტერიუმები						
	შეფასების კრიტერიუმები	შეფასების მეთოდი	ქულა			
			3 ძალიან კარგი	2 კარგი	1 დამაკმაყოფილებელი	0 არადამაკმაყოფილებელი
1	მოტივაცია (ინტერესი პროფესიისადმი)	გასაუბრება				
2	მზაობა ფიზიკური შრომისათვის	გასაუბრება /თვითშეფასება				
3	ხედვა გუნდურ მუშაობასთან დაკავშირებით	გასაუბრება				
4	სტრესულ გარემოში მუშაობის მზაობა	გასაუბრება				
5	პროფესიასთან დაკავშირებული ცოდნა ან გამოცდილება	გასაუბრება				

კომისიის წევრის/წევრების მიერ აპლიკანტის შეფასების ფორმა პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე

N	აპლიკანტის სახელი და გვარი	მოტივაცია (ინტერესი პროფესიისადმი)	მზობა ფიზიკური შრომისთვის	სტრუქტურულ გარემოში მუშაობის მზობა	ხელვა გუნდურ მუშაობასთან დაკავშირებით	პროფესიასთან დაკავშირებული ცოდნა ან/და გამოცდილება	ქულათა ჯამი	რეიტინგი
1								
2								
3								
4								
5								
6								
7								
8								
9								
10								

თითოეული კრიტერიუმის მაქსიმალური

შეფასება - 3 ქულა ძალიან კარგი (3 ქულა) კარგი (2 ქულა)

დამაკმაყოფილებელი (1 ქულა)

არადამაკმაყოფილებელი (0 ქულა)

კომისიის წევრის/წევრების სახელი და გვარი